

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

21.11.2013 წელი

ეგზ.2

ხულოს მუნიციპალიტეტი

აუდიტის ანგარიში N 161/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 30 ივნისი

აუდიტის ანგარიში

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
პირობითი მოსაზრება	5
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები	6
შიდა კონტროლების სისუსტეები:	6
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები:	6
ბიუჯეტის შესრულება	6
არაფინანსური აქტივები	8
დებიტორული დავალიანებები	9
ანგარიშგების ფორმები	10

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა ხულოს მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს თვითმმართველი ერთეულის საბალანსო ანგარიშგებას 2013 წლის 30 ივნისისათვის და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: ხარჯებს ეკონომიკური კლასიფიკაციით, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციებს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციებს, წმინდა ღირებულებას, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას, ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზურ აღრიცხვაზე. ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით (განზრახ არამართლზომიერი ქმედებით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების(ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი თვითმმართველი ერთეულის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

თვითმმართველი ერთეულის 2013 წლის 6 თვის ბუღალტრული (ფინანსური) ანგარიშგების ფორმები სრულყოფილად და სათანადოდ არ ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობას, კერძოდ:

1. 2013 წლის 6 თვეში თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 50.2 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად



საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლისა (კოდი 21114), დაფინანსებულია „სუბსიდიის“ მუხლით (კოდი 25)¹.

2. ა(ა)იპ „ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის“ მიერ მიღებული 109.2 ათასი ლარის ღირებულების სპორტული დარბაზები/მოედნები, ნაცვლად შენობა-ნაგებობების ქვემუხლისა (კოდი 61112), გატარებულია არამწარმოებლური აქტივების ქვემუხლში (კოდი 6141)².

3. სსიპ „ხულოს სახელმწიფო დრამატულ თეატრს“, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს ასახული განცალკევებულად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაცემული 1442,82 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნორმატიული ღირებულებით 8974.34 ლარი) და მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობები. აღნიშნული არაფინანსური აქტივები ნაცვლად „არამწარმოებლური აქტივების“ ქვემუხლისა, ასახული აქვს „არასაცხოვრებელი შენობების“ ქვემუხლში.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ხულოს მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

¹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ დამტკიცების თაობაზე N672 ბრძანების მე-4 თავის მოთხოვნები

² დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ დამტკიცების თაობაზე N672 ბრძანების მე-5 თავის მოთხოვნები



სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

შიდა კონტროლების სისუსტეები:

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ასევე მისდამი დაქვემდებარებულ ყველა ორგანიზაციაში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოებს ელექტრონული პროგრამის გამოყენების გარეშე. არასათანადო კონტროლია დაწესებული მხარჯავი დაწესებულებების მიერ მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურში წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე. რაც გამოვლინდა მათ მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში მონაცემების არასწორი ასახვით.

მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“, ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის“ და ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალის“ ფაქტიურ მფლობელობაში არსებული არაფინანსური აქტივები ირიცხება მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე, აქტივების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად არ არის განხორციელებული³.

ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულება

ხულოს მუნიციპალიტეტის შემოსულობები

ხულოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის შემოსულობების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 013,1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 2 689.7 ათასი ლარი შედგინა, რაც დაზუსტებული გეგმის შესრულების 89,3 პროცენტია. სხვაობამ დაზუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებას შორის შეადგინა 323,3 ათასი ლარი.

N	შემოსულობების სახეების დასახელება	წლიური გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	შესრულება	გადახრა (3-4)	წლიური შესრულების % (4/2X100)	6 თვის შესრულების % (4/3X100)
	1	2	3	4	5	6	7
1	შემოსულობები	7,043.455	3,013.122	2,689.737	323.385	38.2%	89.3%
2	გადასახადები	60.000	9.400	49.503	-40.103	82.5%	526.6%
3	გრანტები	6,803.455	2,922.194	2,550.000	372.194	37.5%	87.3%
4	სხვა შემოსავლები	180.000	81.528	77.659	3.869	43.1%	95.3%
5	არაფინანსური აქტივების კლება	0	0	12.575	-12.575	-	-


³ დარღვეულია „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19^ე მუხლის მოთხოვნები



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმისა და საკასო შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული დიაგრამის სახით:

(ათასი ლარი)




ხულოს მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ხულოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 314,8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 2 486,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის 75 პროცენტია. სხვაობამ დაზუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებას შორის შეადგინა 828,7 ათასი ლარი.

N	გადასახდელების სახეების დასახელება	წლიური დაზუსტებული გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა (4-5)	წლიური შესრულების % (4/2X100)	6 თვის შესრულების % (4/3X100)
	1	2	3	4	5	6	7
1	მუნიციპალიტეტი	7,345.141	3,314.808	2,486.112	828.696	33.8%	75.0%
2	ხარჯები	5,359.620	2,797.078	2,420.147	376.931	45.2%	86.5%
3	შრომის ანაზღაურება	2,269.020	1,144.920	1,108.994	35.926	48.9%	96.9%
4	საქონელი და მომსახურება	828.830	447.430	238.438	208.992	28.8%	53.3%
5	სუბსიდიები	1,860.583	934.788	858.513	76.275	46.1%	91.8%
6	სოციალური უზრუნველყოფა	341.187	252.940	214.202	38.738	62.8%	84.7%
7	სხვა ხარჯები	60.000	17.000	0.000	17.000	0.0%	0.0%
8	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,982.891	515.100	63.815	451.285	3.2%	12.4%
9	ვალდებულებების კლება	2.630	2.630	2.150	0.480	81.7%	81.7%



საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულ გეგმისა და საკასო შესრულების მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული დიაგრამის სახით:



მუნიციპალიტეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა დაბალანსებულია მუნიციპალიტეტის დეპოზიტზე არსებული ნაშთის კლებით, რაც 2013 წლისათვის განისაზღვრა 301.7 ათასი ლარით, საიდანაც საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 203.6 ათასი ლარი.

ხულოს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების დაბალი პროცენტი მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ სისუსტეზე, რაც შემდგომში აისახება ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების არასრულფასოვნად შესრულებაში.

არაფინანსური აქტივები

საანგარიშო პერიოდში ხულოს მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლის ზრდამ შეადგინა 26,9 ათასი ლარი. ხოლო კლებამ შეადგინა 126,3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ არასაცხოვრებელი შენობა - ნაგებობების ქვემუხლით გადაცემული 109.2 ათასი ლარის ღირებულების „სპორტული დარბაზები/მოედნები“, ა(ა)იპ ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის მიერ არ არის აღრიცხული შესაბამის მუხლში და გატარებულია არამწარმოებლური აქტივების ქვემუხლში.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ხულოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწა და მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობები არამართლზომიერ საკუთრებაში აქვს გადაცემული მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ მხარჯავ დაწესებულებებს. ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრს“, ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლას“ და ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალს“, მოცემულ ორგანიზაციებთან არაფინანსური აქტივების გადაცემის ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული.

დებიტორული დავალიანებები

მუნიციპალიტეტს სხვა დებიტორული დავალიანებების სახით 2013 წლის 1 ივლისისათვის ერიცხება 33.2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთი შემცირდა 22.3 ათასი ლარით და შეადგინა 10.9 ათას ლარი. რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ვალდებულების სააუდიტო პერიოდში შესრულებით.

აუდიტორი,

ჯგუფის ხელმძღვანელი:

აუდიტორი:

ი. ნიქიძე

/იონა წითელაძე/

/ვენრი სანიკიძე/

თარიღი: 21. IV. 2013 წ.

სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: ხულოს მუნიციპალიტეტი

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი ნოდარ თავართქილაძე

1. გამოვლენილი გარემოება

2013 წლის 6 თვეში თვითმმართველი ერთეულის დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები 50.2 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების მუხლისა (კოდი 21114), დაფინანსებულია „სუბსიდიის“ მუხლით (კოდი 25).

რეკომენდაცია

დეპუტატების სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯები გაწეულ იქნეს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შესაბამისი შრომის ანაზღაურების მუხლით (კოდი 21114).

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

2. გამოვლენილი გარემოება

ა(ა)იპ „ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის“ მიერ მიღებული 109.2 ათასი ლარის ღირებულების სპორტული დარბაზები/მოედნები, ნაცვლად შენობა ნაგებობების ქვემუხლისა (კოდი 61112), გატარებულია არამწარმოებლური აქტივების ქვემუხლში (კოდი 6141)

რეკომენდაცია

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული აქტივების გაიმიჯვნისა და შესაბამის მუხლებში ასახვასთან დაკავშირებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

3. გამოვლენილი გარემოება.

სსიპ „ხულოს სახელმწიფო დრამატულ თეატრს“, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს ასახული განცალკევებულად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაცემული 1442,82 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნორმატიული ღირებულებით 8974.34 ლარი) და მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობები. აღნიშნული არაფინანსური აქტივები ნაცვლად „არამწარმოებლური აქტივების“ ქვემუხლისა, ასახული აქვს „არასაცხოვრებელი შენობების“ ქვემუხლში.

რეკომენდაცია

გატარდეს ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული აქტივების შესაბამის მუხლებში ასახვასთან დაკავშირებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

4. გამოვლენილი გარემოება.


მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებების ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“, ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის“ და ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალის“ ფაქტიურ მფლობელობაში არსებული არაფინანსური აქტივები ირიცხება მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე, აქტივების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად არ არის განხორციელებული.

რეკომენდაცია

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით მოსარგებლე მხარჯავი დაწესებულებების მიმართ, გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული აქტივების მართლზომიერ ფლობასთან დაკავშირებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

აუდიტორი:



იონა წითელაძე 21.11.2013 თარიღი

აუდიტორი:



ჰენრი სანიკიძე 21.11.2013 თარიღი

ანგარიშგების ფორმები

ხულოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	პერიოდი			სხვაობა
	წლიური ბიგმა	პერიოდის დაზუსტებული ბიგმა	საკასო შესრულება	
1	2	3	4	5
I. შემოსავლები	7,043,455	3,013,122	2,677,162	335,960
გადასახადები	60,000	9,400	49,503	-40,103
სოციალური შენატანები				0
გრანტები	6,803,455	2,922,194	2,550,000	372,194
სხვა შემოსავლები	180,000	81,528	77,659	3,869
				0
II. ხარჯები	5,359,620	2,797,078	2,420,147	376,931
შრომის ანაზღაურება	2,269,020	1,144,920	1,108,994	35,926
საქონელი და მომსახურება	828,830	447,430	238,438	208,992
პროცენტი				0
სუბსიდიები	1,860,583	934,788	858,513	76,275
გრანტები				0
სოციალური უზრუნველყოფა	341,187	252,940	214,202	38,738
სხვა ხარჯები	60,000	17,000		17,000
				0
III. საოპერაციო სალდო	1,683,835	216,044	257,015	-40,971
				0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,982,891	515,100	51,240	463,860
ზრდა	1,982,891	515,100	63,815	451,285
კლება			12,575	-12,575
				0
V. მთლიანი სალდო	-299,056	-299,056	205,775	-504,831
				0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-301,686	-301,686	203,625	-505,311
ზრდა	0	0	203,625	-203,625
ვალუტა და დეპოზიტები		0	203,625	-203,625
სესხები				0
აქციები და სხვა კაპიტალი				0
კლება	301,686	301,686	0	301,686
ვალუტა და დეპოზიტები	301,686	301,686		301,686
სესხები				0
აქციები და სხვა კაპიტალი				0
				0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-2,630	-2,630	-2,150	-480
ზრდა				0
საგარეო				0
საშინაო				0
კლება	2,630	2,630	2,150	480
საგარეო				0
საშინაო	2,630	2,630	2,150	480
				0
VIII. ბალანსი	0	0	0	0

ხულოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

(ათასი ლარი)

კოდი	შემოსულობების სახეების დასახელება	წლიური გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	შესრულება	წლიური გეგმის შესრულების % (5/3X100)	დაზუსტებული გეგმის შესრულების % (5/4X100)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
	შემოსულობები	7,043.455	3,013.122	2,689.737	38.2	89.3	
1	შემოსავლები	7,043.455	3,013.122	2,677.162	38.0	88.9	
31	არაფინანსური აქტივების კლება	0	0	12.575	-	-	
32	ფინანსური აქტივების კლება	0	0	0	-	-	
33	ვალდებულებების ზრდა	0	0	0	-	-	
	შემოსავლები	7,043.455	3,013.122	2,677.162	38.0	88.9	
11	ვადასაზღვრები	60,000	9.400	49.503	0.1	526.6	
11111	საშემოსავლო გადასახადი	0	0.000	0.000	-	-	
11311	ქონების გადასახადი	60,000	9.400	49.503	0.1	526.6	
1131101	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40,000	6.600	40.591	0.1	615.0	
1131102	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	0.000	0.000	-	-	
1131103	მიწისა	2,000	1.500	2.449	0.1	163.3	
1131104	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0	0.000	0.375	-	-	
1131105	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	18,000	1.300	6.088	0.0	468.3	
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0	0	-	-	
116	სხვა გადასახადები	0	0	0	-	-	
13	ვრანტები	6,803.455	2,922.194	2,550.000	37.5	87.3	
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.000	0.000	0.000	-	-	
132	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები	0.000	0.000	0.000	-	-	
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	6,803.455	2,922.194	2,550.000	37.5	87.3	
	გათანაბრებითი ტრანსფერი	4,932.000	2472.194	2,466.000	50.0	99.7	
	მიზნობრივი ტრანსფერი	0.000	0.000	0.000	-	-	
	დედეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0.000	0.000	0.000	-	-	
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	912.000	286.000	70.000	7.7	24.5	
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.000	0.000	0.000		N° IV/0!	
	სპეციალური ტრანსფერი	959.455	164.00	14.000	-	-	
	მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.000	0.000	0.000	-	-	
	მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.000	0.000	0.000	-	-	
	მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	14.000	14.000	14.000	-	-	
	მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.000	0.000	0	-	-	
	მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	945.455	150.000	0	-	-	
	მ.შ. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.000	0.000	0	-	-	
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	0	0.000	0	-	-	
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	0	0	0	-	-	
14	სხვა შემოსავლები	180,000	81.528	77.659	0.0	95.3	
141	შემოსავლები საკუთრივიდან	145,000	76.473	58.330	0.0	76.3	
1411	პროცენტები	50,000	47.563	40.840	0.1	85.9	

1412	ღივიღნღები				-	-	
1415	ღენტა	95,000	28.910	17.490	0.0	60.5	
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	95,000	28.910	15.418	0.0	53.3	
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0	0.000	2.072	-	-	
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0	0.000	0.000	-	-	
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	9,000	2.410	3.599	0.0	149.3	
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	5,000	0.710	1.378	0.0	194.1	
14222	საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0	0.000	0.000	-	-	
14223	სანებართვო მოსაკრებელი	1,000	0.200	0.788	0.1	-	
14227	სახელმწიფო ბაჟი	0	0.000	0.000	-	-	
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0	0.000	0.003	-	-	
142210	სატენდერო მოსაკრებელი	0	0.000	0.000	-	-	
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	0.000	0.000	-	-	
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0	0.000	0.000	-	-	
142215	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0	0.000	0.000	-	-	
142216	ადგილობრივი მოსაკრებელი საციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0	0.000	0.000	-	-	
142214	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4,000	0.510	0.587	0.0	115.1	
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0	0.000	0.000	-	-	
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4,000	1.700	2.221	0.1	130.6	
14231	შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0	0.000	0.000	-	-	
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	4,000	1.700	2.221	0.1	130.6	
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	26,000	2.645	13.304	0.1	503.0	
144	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0	0.000	0.000	-	-	
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	0.000	2.426	-	-	
1459	წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები	0	0.000	0.000	-	-	
31	არაფინანსური აქტივების კლება	0	0	12.575	-	-	
311	ძირითადი აქტივები	0	0	4.778	-	-	
314	არაწარმოებული აქტივები	0	0	7.797	-	-	
3141	ფიწა	0	0	7.797	-	-	
31432	სხვა ბუნებრივი აქტივები	0	0	0.000	-	-	
31432	სხვა ბუნებრივი აქტივები	0	0	0.000	-	-	

ხულოს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციული კლასიფიკაციის შესაბამისად

(ათასი ლარი)

ხარჯების ეკონომიკური და აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კლასიფიკაციის კოდები	გადასახდელების სახეების დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა	წლიური დაზუსტებული გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების % (7/5X100)	პერიოდის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების % (7/4X100)	შენიშვნა
2	3	4	5	6	7	8	9	10
სულ	მუნიციპალიტეტი	5759.900	7,345.141	3,314.808	2,486.112	33.8	75.0	
	მომუშავეთა რიცხოვნობა	226.000	226.000	0.000	0.000	0.0		
	ხარჯები	5,213.720	5,359.620	2,797.078	2,420.147	45.2	86.5	
	შრომის ანაზღაურება	2,241.440	2,269.020	1,144.920	1,108.994	48.9	96.9	
	საქონელი და მომსახურება	799.950	828.830	447.430	238.438	28.8	53.3	
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	6.300	19.180	5.400	4.200	21.9	77.8	
	მივლინებები	25.400	25.400	14.600	6.960	27.4	47.7	
	ოფისის ხარჯები	233.000	233.000	132.400	63.135	27.1	47.7	
	წარმომადგენლობითი ხარჯები	9.000	9.000	5.000	4.524	50.3	90.5	
	კვების ხარჯები	5.000	5.000	2.000	0.000	0.0	0.0	
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	1.000	1.000	1.000	0.000	0.0	0.0	
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	146.250	146.250	79.200	27.148	18.6	34.3	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	374.000	390.000	207.830	132.471	34.0	63.7	
	შუბსიდიები	1,844.780	1,860.583	934.788	858.513	46.1	91.8	
	სოციალური უზრუნველყოფა	247.550	341.187	252.940	214.202	62.8	84.7	
	სხვა ხარჯები	80.000	60.000	17.000	0.000	0.0	0.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	546.180	1,982.891	515.100	63.815	3.2	12.4	
	ვალდებულებების კლება	0.000	2.630	2.630	2.150	81.7	81.7	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2,335.390	2,358.480	1,209.950	1,037.979	44.0	85.8	
	მომუშავეთა რიცხოვნობა	176.000	176.000	0.000	0.000	0.0		
	ხარჯები	2,311.890	2,332.350	1,191.320	1,031.362	44.2	86.6	
	შრომის ანაზღაურება	1,775.520	1,803.100	910.900	874.974	48.5	96.1	
	საქონელი და მომსახურება	390.930	403.810	220.200	106.168	26.3	48.2	
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	2.100	14.980	3.300	2.100	14.0	63.6	
	მივლინებები	22.600	22.600	13.000	6.199	27.4	47.7	
	ოფისის ხარჯები	186.530	186.530	107.300	46.042	24.7	42.9	
	წარმომადგენლობითი ხარჯები	9.000	9.000	5.000	4.524	50.3	90.5	
	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	1.000	1.000	1.000	0.000	0.0	0.0	
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	108.500	108.500	60.000	21.803	20.1	36.3	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	61.200	61.200	30.600	25.500	41.7	83.3	
	შუბსიდიები	100.440	100.440	50.220	50.220	50.0	100.0	
	სხვა ხარჯები	45.000	25.000	10.000	0.000	0.0	0.0	

	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.500	23.500	16.000	4.467	19.0	27.9
	ვალდებულებების კლება	0.000	2.630	2.630	2.150	81.7	81.7
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	494.850	515.970	275.620	222.595	43.1	80.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	20.000	20.000			0.0	
	ხარჯები	491.850	512.970	273.620	222.595	43.4	81.4
	შრომის ანაზღაურება	313.920	335.040	178.700	153.809	45.9	86.1
	საქონელი და მომსახურება	72.490	72.490	39.700	18.566	25.6	46.8
	მიწვლინებები	4.500	4.500	2.500	0.910	20.2	36.4
	ოფისის ხარჯები	33.990	33.990	18.000	10.532	31.0	58.5
	წარმომადგენლობითი ხარჯები	2.000	2.000	1.200	0.748	37.4	62.3
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	32.000	32.000	18.000	6.376	19.9	35.4
	სუბსიდიები	100.440	100.440	50.220	50.220	50.0	100.0
	სხვა ხარჯები	5.000	5.000	5.000	0.0		0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.000	3.000	2.000	0.000	0.0	0.0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,800.540	1,819.880	926.700	813.234	44.7	87.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	156.000	156.000	0.000	0.000	0.0	
	ხარჯები	1,780.040	1,799.380	912.700	808.767	44.9	88.6
	შრომის ანაზღაურება	1,461.600	1,468.060	732.200	721.165	49.1	98.5
	საქონელი და მომსახურება	318.440	331.320	180.500	87.602	26.4	48.5
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	2.100	14.980	3.300	2.100	14.0	63.6
	მიწვლინებები	18.100	18.100	10.500	5.289	29.2	50.4
	ოფისის ხარჯები	152.540	152.540	89.300	35.510	23.3	39.8
	წარმომადგენლობითი ხარჯები	7.000	7.000	3.800	3.776	53.9	99.4
	რბილი ინჟინერის, უნიფორმისა და პირადი პიჯეინის საყენების შეძენის ხარჯები	1.000	1.000	1.000	0.000	0.0	0.0
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	76.500	76.500	42.000	15.427	20.2	36.7
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	61.200	61.200	30.600	25.500	41.7	83.3
01 03	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.500	20.500	14.000	4.467	21.8	31.9
	სარეზერვო ფონდი	40.000	20.000	5.000	0.000	0.0	0.0
	ხარჯები	40.000	20.000	5.000	0.000	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	40.000	20.000	5.000	0.000	0.0	0.0
01 04	წინა პერიოდის დაგადიანებების დაფარვა	0.000	2.630	2.630	2.150	81.7	81.7
	ვალდებულებების კლება	0.000	2.630	2.630	2.150	81.7	81.7
02 00	საგანგებო სიტუაციების მართვა (სახანძრო-სამაშველო სამსახური)	446.860	446.860	224.750	209.089	46.8	93.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43.000	43.000	0.000	0.000	0.0	
	ხარჯები	446.860	446.860	224.750	209.089	46.8	93.0
	შრომის ანაზღაურება	398.080	398.080	200.100	200.100	50.3	100.0
	საქონელი და მომსახურება	48.780	48.780	24.650	8.989	18.4	36.5
	მიწვლინებები	0.800	0.800	0.400	0.080	10.0	20.0
	ოფისის ხარჯები	8.830	8.830	4.800	1.556	17.6	32.4
	კვების ხარჯები	3.000	3.000	1.000	0.000	0.0	0.0
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	23.250	23.250	12.000	3.053	13.1	25.4
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	12.900	12.900	6.450	4.300	33.3	66.7
0300	თავდაცვის დონისძიებები	112.580	112.580	58.720	43.721	38.8	74.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.000	7.000	0.000	0.000	0.0	
	ხარჯები	111.080	111.080	57.220	43.721	39.4	76.4
	შრომის ანაზღაურება	67.840	67.840	33.920	33.920	50.0	100.0
	საქონელი და მომსახურება	43.240	43.240	23.300	9.801	22.7	42.1
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4.200	4.200	2.100	2.100	50.0	100.0
	მიწვლინებები	2.000	2.000	1.200	0.681	34.1	56.8



	ოფისის ხარჯები	10.640	10.640	6.000	2.203	20.7	36.7
	კვების ხარჯები	2.0	2.0	1.0	0.0	0.0	0.0
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	14.500	14.500	7.200	2.292	15.8	31.8
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	9.900	9.900	5.800	2.525	25.5	43.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.500	1.500	1.500	0.000	0.0	0.0
0301	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური)	112.580	112.580	58.720	43.721	38.8	74.5
	მომუშავეთა რეკონსტრუქცია	7.000	7.000	0.000	0.000	0.0	
	ხარჯები	111.080	111.080	57.220	43.721	39.4	76.4
	შრომის ანაზღაურება	67.840	67.840	33.920	33.920	50.0	100.0
	საქონელი და მომსახურება	43.240	43.240	23.300	9.801	22.7	42.1
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4.200	4.200	2.100	2.100	50.0	100.0
	მივლინებები	2.000	2.000	1.200	0.681	34.1	56.8
	ოფისის ხარჯები	10.640	10.640	6.000	2.203	20.7	36.7
	კვების ხარჯები	2.000	2.000	1.000	0.000		0.0
	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	14.500	14.500	7.200	2.292	15.8	31.8
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	9.900	9.900	5.800	2.525	25.5	43.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.500	1.500	1.500	0.000	0.0	0.0
0400	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	815.580	2,103.035	625.820	172.039	8.2	27.5
	ხარჯები	412.400	412.400	196.220	140.660	34.1	71.7
	საქონელი და მომსახურება	202.000	202.000	109.280	66.929	33.1	61.2
	ოფისის ხარჯები	27.000	27.000	14.300	13.334	49.4	93.2
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	175.000	175.000	94.980	53.595	30.6	56.4
	სუბსიდიები	175.400	175.400	79.940	73.731	42.0	92.2
	სხვა ხარჯები	35.000	35.000	7.000	0.000	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	403.180	1,690.635	429.600	31.379	1.9	7.3
0401	აიპი ხელთ-თავის ბაგირგზა	105.400	105.400	86.980	16.549	15.7	19.0
	ხარჯები	35.400	35.400	16.980	16.549	46.7	97.5
	სუბსიდიები	35.400	35.400	16.980	16.549	46.7	97.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	70.000	70.000	70.000	0.000	0.0	0.0
0402	სანიტარული დასუფთავების დონისძიებები	85.000	85.000	43.000	30.730	36.2	71.5
	ხარჯები	85.000	85.000	43.000	30.730	36.2	71.5
	საქონელი და მომსახურება	85.000	85.000	43.000	30.730	36.2	71.5
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	85.000	85.000	43.000	30.730	36.2	71.5
0403	სანიტარული არხებისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის დონისძიებები	75.000	85.000	15.040	1.896	2.2	12.6
	ხარჯები	10.000	10.000	5.040	1.896	19.0	37.6
	საქონელი და მომსახურება	10.000	10.000	5.040	1.896	19.0	37.6
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10.000	10.000	5.040	1.896	19.0	37.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	65.000	75.000	10.000	0.000	0.0	0.0
0404	მუნიციპალიტეტში სკვერების, ფასადების მოწყობა (საყრდენი კედლების მოწყობა, ფუშრუკაულის ცენტრის კეთილმოწყობა)	78.580	178.580	0.000	0.000	0.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	78.580	178.580			0.0	
0405	საბრუნველ-საკადასტრო აზომებები	55.000	55.000	55.000	8.514	15.5	15.5
	ხარჯები	6.000					
	საქონელი და მომსახურება	6.000	6.000	6.000	0.0		0.0

	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	6.000	6.000	6.000			0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	49.000	49.000	49.000	8.514	17.4	17.4
0406	საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობა	42.000	77.000	52.000	22.865	29.7	44.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	42.000	77.000	52.000	22.865	29.7	44.0
0407	ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვა	45.000	45.000	12.000	0.912	2.0	7.6
	ხარჯები	10.000	10.000	5.000	0.912	9.1	18.2
	საქონელი და მომსახურება	10.000	10.000	5.000	0.912	9.1	18.2
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10.000	10.000	5.000	0.912	9.1	18.2
	სხვა ხარჯები	35.000	35.000	7.000			0.0
